# სასოფლო გაზეთი

**მესამე წელიწადი**

გამოდის შაბათობით

**გაზეთის ფასი:**

აგზავნით თფილისში გაუგზავნელათ: და გარეშე ადგილებში:

| | | |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

**ხელის-მოწერა მიიღება.**

თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и к°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 24 შაბათი — III — 28 ნოემბერი, 1870 წ.


**შინაარსი:**


კარგი მამასახლისი სოფლის ბურჯია.—საქონლის გადამდებ ავათ-მყოფობის შესახებ.—საუკეთესო თვარცხი.—სხვა და სხვა ამბავი:—ჩერქეზისაგან დედაკაცის მოკვლა რუსეთში.—უცხო ქვეყნის ამბები:—გიმნაზიელების ქველ-მოქმედება.—სომხის ვერაგობა.


## კარგი მამასახლისი სოფლის ბურჯია.

იმ სოფელს არ ვიტყვი, სადაც ერთი ღვთის წინააღმდეგი მამა-სახლისი იმყოფება, არც იმის სახელს ვახსენებ, ან რა საჭიროა იმის ცოდნა; უფრო სჯობია თვითონ გამოიცნოს თავისთავი, როცა ამოიკითხავს აქ თავის კარგ კაცობას. რომელსაც ჩვენ აქ ვამბობთ, ის ერთი საწყალი თავის ქვეყნიდგან გადმოვარდნილი იმერელი არის. გაჭირება სად არ წაიყვანს კაცს, თორემ აბა რა სასიამოვნოა კაცმა დატოვოს თავის ნათესაობა, მიწა-წყალი, მამული და სადაც შორს გადაიხვეწოს, სადაც ყველანი ახალს მოსულს მტრის თვალით უყურებენ. აი, ამისთანა უცხო ალაგს გადმოხვეწილა დიდი ხნიდგან ეს გაჭირებული იმერელი, დიდხანს უხეტქებია აქათ-იქით და ბოლოს ერთს სომხის ქვრივს გარიგებია სამუშაოთ.

* * *

იმერელს უნდა აელო იმ ქვრივის ბაღი. პირობა შეეკრათ რომ ბაღი როცა იმდენათ გაკეთდებოდა, რომ დაიწყებდა თავის მოსავლის გაყიდვას, რაც გაიყიდებოდა, იმის ნახევარი იმერელს უნდა ერგებოდა და ნახევარი ქვრივსა, ბაღის პატრონსა. ოთხი-ხუთი წელიწადი იმუშავა საწყალმა მებაღემ და ბოლოს იმდენზე მიიყვანა, რომ წლის შემოსავალი კარგა მალი დგებოდა ხოლმე. რაკი ქვრივმა ეს დაინახა, (უნდა მოგახსენოთ, ქვრივი ვაჭრის ნაქვრივალი იყო), აუციმციმდა გული და განიზრახა საწყალი იმერლის შევიწროება:—გიქივარ, ნახევარს რათ მივცემ, ბაღი ხომ ჩემიაო. იმდენი ეწვალა, თავისი მაზლიც შესმრა, რომელიც იყო იმ სოფლის თავადიშვილის მოურავი და ბატონის მოურავს ხომ დიდი ხმა აქვს სოფელში. მოიბირეს მამასახლისი თავისკენ და იმერელს მალათ ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ბაღი სანახევროთ არ მოუცია შენთვის ქვრივსაო, შენ აწ ქირით უნდა იმუშაო, სხვა ბაღის შემოსავალში კი ხმა არა გაქვსო.

* * *

იმერელმა თავში ხელი შემოიკრა:—ვის გაუგონია, მაგისთანა უსამართლობა, ეს ხუთი წელიწადია ჩემი ოფლი სულ ამ ბაღში დაღვრილა, ღამით ძილი არ მქონია, ნახევარჯერ მშიერ მწყურვალი ვგდებულ ვარ იმ იმედით, რომ ბოლოს დროს მაინც მეშველება, ცოტაცარის, ამდენ გაჭირების შემდეგ შეღავათი მომეცემაო. ახლა თქვენ სულ ცარიელზე გინდათ დამაგდოთ, ეგ რა სამართალია!... შენ მაინც მამა-სახლისი ხარ, ჩვენი წრის კაცი, თვითონ გამოგიცდია გლეხის გაჭირება. მაგათ რომ ამისთანა უსამართლობა დამიწყონ, შენ უნდა მიშველო, თორემ შენც მაგათ უდგეხარ, ზევით ღმერთის რაღას უბნებიო.

* * *

მამასახლისი: რას ჰქვია, ვის ქვია; სადაური უსამართლობაა. ბაღი ქვრივის ყოფილა, ნახევარ შემოსავალზე რა ხელი გაქვსო. შენ, როგორც მოჯამაგირე, რაც მოგცენ, იმას დაჯერდიო».

* * *

საწყალს იმერელს მეტის მწუხარებისგან ორი ობოლი ცრემლი თვალიდგან გადმოვარდა, შეხედა ზეცას და გულ-გახეთქილმა წამოიძახა: ღმერთო შენ მოჰკითხე ამ მამა-სახლისს ჩემი ასე დაჩაგვრა. ღმერთო ნუ შეარგებ ამათ

ამდენი წლის დაღვრილს ჩემის გაჭირების ოფლსაო....

*
* *

ამის გარდა მამასახლისმა უთხრა იმერელს მაგ შენ ჯამაგირიდგან ცალკე სოფლისსაერო ფულისთვის უნდა გადაიხადოვო და ცალკე ჩემი გასამრჯელოც უნდა მომცეო, ეგრე კარგათ რომ გადაგიწყვიტეო. ამ სახით საწყალი იმერელი სოფლის მამასახლისის სამართალმა სულ გაატყავა. თვითონ შენ წარმოიდგინე, მკითხველო, მართლა ეს ერთი უსამართლობა რამდენათ დასცემდა სოფლელების თვალ წინ მამასახლისურს გამგეობას და გასამართლებას.

*
* *

კარგი სვინიდისიანი მამასახლისი სულ სხვა ნაირათ წაიყვანდა საქმეს. ყველაზე პირველათ ის გულში ჩაიბეჭდავდა, რომ სოფლის ერს თავისი უცოდინარობის გამო ბევრი მტერი ახვევია, რომელნიც სარგებლობენ, ჯიბეს ისქელებენ იმის მოტყუებით, შევიწროებით. მამასახლისი, როგორც ამ სოფლის მცხოვრებლებისაგან ამორჩეული, უნდა იყოს ამათივე მომხრე, ამათი მფარველი, სამართალიც ეს არის?

*
* *

სოფლელს აქვს საქმე თავის უწინდელს ბატონთან, რომელიც იმაზე უფრო ნასწავლია, გამოცდილია დავებში და რადგან რაც ბევრი შემოსავალი ექნება, ის ურჩევნია, ამისთვის კანონის მუხლებით ზოგიერთ ჯერ ისე კარგა სარგებლობს, რომ გლეხს თან-და-თან უმატებს გადასახადს. აი, ერთი........

*
* *

მეორე გახლავს ვაჭარი. ის დიდი ხნიდგან ჩასდგომია კვალში სოფლელი გლეხის კეთილმდგომარეობას და იმის წყალობით რაც უნდა ბევრი ოფლი ღვაროს, მომეტებულს სარჩოს ვერ მოაგროვებს, ამიტომ რომ ვაჭარი იქვე მგელსავით ხელში შესჩერებია და ეუბნება: აა!.. ტყუილათ ნუ იჩარჩვი, ეგ რაც მომეტებული მოგიგროვებია, სულ ჩემია, ვალის სარგებელში უნდა მომცე, აი, ამ თამასუქების ძალითო.

*
* *

მესამე მტერი გოშია ადვოკატები და იასაულები გახლავთ. გოშია ადვოკატები მიროვის სუდის კარებზე დგანან და გლეხს სამართლის კარებამდის რა მიუშვებენ, მაშინვე ეტყვიან აქ მო, მე მომანდვე შენი საქმე, მე გაგირიგებო. თუნდ რომ ორი სიტყვის თქმის მეტი არ საჭიროებოდეს, მაინც საქმეს უძნელებენ და გასამრჯელოს ერთი ათად აძლევინებენ საწყალს გლეხს. იასაულები და ჩაფრები კი ღმერთმა შეინახოს. ერთ ნაბიჯსაც არ გაადგმენ თავის უფროსის ბრძანებით, რომ გლეხის კარზე არ გაჩნდენ და რამე არ წაგლიჯონ;—გასამჯელო მე კი მაწყენსო? იტყვიან.—

*
* *

მამასახლისი მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ გლეხი არ დააჩაგვრინოს არც მეპატრონეს, არც მევაჭრეს, არც გოშია ადვოკატებს და იასაულებს. ის უნდა ებრძოდეს ამათ, როგორც კარგი კრუხი ებრძვის ქორს და უვავებს თავის წიწილების დასაფარავათ. ამას გარდა მამასახლისი და სოფლის მოსამართლე წინ უნდა უძღოდენ ყოველს საქმეს, რაც ცხოვრების დონეს მოუმატებს გარემოებისგან შევიწროებულს გლეხს. იმათ უნდა მოაგროვებინონ საერო ფული, რომ გაჭირების დროს ყოველმა გლეხმა სესხით ხელი გაიმართოს და ვაჭარი აღარ მოუშვან სოფელში. უნდა ცდილობდენ სოფელში შკოლის გამართვას, რომ ახალ გაზდობამ ისწავლოს რამე და შემდეგ თავის უცოდინარობით გლეხი ისე საცოდავათ არ იჩაგრებოდეს, როგორც ახლა. ამას გარდა ყოველი საგლეხო დავა ისე სინდისიანათ გადასწყვიტონ, რომ გლეხებში კარგი სახელი მოიპოვონ და არ გაუშვან მეორეთ საჩივლელათ მიროვის სუდში, ან ნაჩალნიკთან. ამითი ისინი გლეხს იასაულებსაც მოარჩენენ, გოშია ადვოკატებსაც და დროსაც არ დააკარგვინებენ.

*
* *

ერთი სიტყვით კარგი მამასახლისი სოფლის ბურჯია და ყოველი სოფელიც იმას უნდა ცდილობდეს, რომ იმისთანა სოფლის ბურჯი ამოარჩიოს მამასახლისათ.

---

## საქონლის გადამდებ ავათ-მყოფობის შესახებ.

რუსეთში თითქმის არაოდეს ისე არ გაქრება ჭირი, რომ ყოველ წელს სადმე თავი არ გამოიჩინოს. ამისთვის საქონლის ჭირისთანა უბედურება სოფლური მეოჯახეთათვის არა გაჩენილარა. ამ ჟამათ ყოველ დონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე აღმოაჩინონ ნამდვილი საშუალება, ან წამალი საქონლის გადამდები ავათ-მყოფობის მოსასპობელათ. თუმცა ჭირი ყველაზე უფრო დამქცევია ოჯახობაში, მაგრამ იმას გარდა სხვაც მრავალნაირია ისეთი გადამდები ავათ-მყოფობები, რომ ჭირზე ნაკლებს ზარალს აღარ შვრებიან, თუ საქონელს შეექნენ: მაგალითად თურქული, ციმბირის ჭირი, ფილტვის ავათ-მყოფობა, საქონლის ყვავილი, მუნი და ქეცი.

*
* *

მუნებური საქონლის ექიმები ამტკიცებენ, რომ უცხო ქვეყნიდგან მოყვანილი ჯოგების ბრალი სრულებითაც არ არის ჭირის გაჩენა. თუ აჩენს ჭირს, უფრო ადგილი და ჰავა აჩენსო. ამას უფრო ისინი ამტკიცებდენ, რომელნიც საქონლით ვაჭრობენ, ჯოგის პატრონებისთვის უფრო ძნელი არ არის ჭირიანი საქონლის ყიდვა და ამისთვის ისინი მალიან გაფთხილებულნი არიან, რომ ავათ-მყოფი პირუტყვი არ იყიდონ, ან არ შეურიონ თავის ჯოგში, ისინი ადვილათ ატყობენ, პირუტყვი ავათ არის, თუ არაო და თუ რამე გადამდები ავათ-მყოფობა გამოჩნდა ჯოგში, მაშინვე დაკლვენ ყველა ავათ-მყოფს პირუტყვს და ამ რიგათ გავრცელების ნებას არ მისცემენო.

*
* *

ერთი სახელგანთქმული საქონლის ექიმი რუსეთში დიდს თვალ-ყურს ადევნებდა ჭირიან საქონლებს რუსეთის მინდვრის გუბერნიებში და ის ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ჭირის გაჩენა ადგილის მდებარეობის და ჰავის ბრალი კი არა, ის ყოველთვის უცხო საქონელს მოჰყვებაო. ამისგამო ერთი ქვეყნიდგან რომ მეორე ქვეყანაში საქონლის ჯოგებს მიდენიან, ან სოფლის გლეხებს რო

ხარებით ქირა დასქვთ, ჭირი მიუცილებლათ იმათ თან დაჰყვებათ.

* * *

საზოგადოთ რომ ვთქვათ ზემოხსენებული ორგვარი ახრი ჭირის გაჩენაზე მუდამ ტრიალებდა რუსეთის საზოგადოებაში. ზოგი ამტკიცებდა, რომ ჭირი ყოველთვის უცხო საქონელს დასდევს, ზოგი კი საქონლის ცუდს კვებას და მუნებურს ჩვევას აბრალებდა, ზოგი ამასაც ამტკიცებდა, რომ ჯოგში ავის-თავათ ჭირი არაოდეს არ გამოჩნდებაო, სანამდის ზოგიერთ სოფლებში, სადაც ჭირი მუდამ არის, იქაური საქონელი არ დაჰმართებს ჯოგსაო.

* * *

ზემოხსენებული სახელ განთქმული საქონლის ექიმი უფ. რავიჩი ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით იმ ალაგებში უფრო ხშირი არის ჭირი, სადაც მუდამ დიდი გზა და საქონლის ჯოგები გადიან, ან ქირა დასქვთ, მაგალითად კაზანის, სამარის, სარატოვის, ხარკოვის, პოლტავის გუბერნიებში და დონის ყაზახების ქვეყნებში. აგრეთვე იმ ალაგებში უფრო ბუდობსო ჭირი, სადაც ჯოგებს ასვენებენ რამდენიმე დღეობით, ან სადაც დიდი ქონის სადნობი და საქონლის ტყავის საკეთებელი ქარხნებია.

* * *

ზოგიერთს ალაგებში ამ ათის წლის განმავლობაში ჭირი ყოველ წელს არის და დიდს ზარალს აძლევს ადგილობრივს მცხოვრებლებს, სხვა გუბერნიებში კი დროს გამოშვებით გამოჩნდება ხოლმე და მაშინ მალიან დიდს ზარალს აძლევს იმ ქვეყნებს. მაგალითად, სამარის გუბერნიის მარტო ერთს უეზდში 1868 წ. სამოცი ათასი პირუტყვი გაწყდა. აქ ჭირი ისე საშინლათ გამლიერდა, რომ ყველას ეგონა მთელ გუბერნიაში ერთი პირუტყვიც აღარ დარჩებაო. ორენბურგის გუბერნიაში თითქმის ყოველთვის არის ჭირი, მაგრამ მაგდენს არას ჰკლავს. დონის ყაზახის ქვეყანა კასპიის ზღვის ნაპირებზე და ვოლგის ნაპირებზე ჭირი მუდამ ბუდობსო.

* * *

ამ შემთხვევაში ერთი შესანიშნავი ამბავი თქვა უფ. რავიჩმა: იმის შემდეგ, რაც რკინის გზა გაიმართაო ხარკოვის, ხერსონის და პოლტავის გუბერნიებში და ქირა ხარ-ურმით აღარ დააქვთო, ჭირი იქ მალიან შემცირდაო. ამას ამტკიცებენ როგორც მუნებური ჯოგის პატრონები, აგრეთვე საქონლის ექიმები და ეს კიდევ უფრო ამართლებს რავიჩის აზრს, რომ ჭირი ჯოგებს და ხარ-ურმის ქირას თან დასდევსო.

* * *

რაიცა შეეხება სხვა გადამდებს ავათ-მყოფობას, იმაზედ აი, რა ითქმის: თურქული ემართება ხარ-კამბეჩს და ზოგიერთს წელიწადებში მალიან გავრცელებულია, მაგალითად 1868 და 1869 წელს ეს ავათ-მყოფობა თითქმის მთელს რუსეთის იმპერიაში იყო მოფენილი. ციმბირის ჭირი მალიან ხშირად ბუდობს ვოლგის, დონის და დნეპრის კიდეებზე, განსაკუთრებით ცხენებს გამოაჩნდება ხოლმე, როგორც გადამდები ავათ-მყოფობა ორენბურგის გუბერნიაშია ხოლმე გავრცელებული, გადამდები ფილტვის ავათ-მყოფობა კი მცირათ არის მინდვრის გუბერნიაში, ასე რომ ამ ავათ-მყოფობისა ბევრი არა იციან რა პირუტყვის ექიმებს. საზოგადოთ პირუტყვის გადამდები ავათ-მყოფობა ისეთი საშინელი უბედურების მომცემია რუსეთის ოჯახობისთვის, რომ იმის მოსასპობელად ყოველი ღონე უნდა იხმარონ როგორც მთავრობამ, აგრეთვე საერთო დაწყობილებამ.

---

## საუკეთესო ფარცხი

როდესაც ჩვენ მიწის სამუშაო იარაღებზე დავიწყებთ ლაპარაკს, თან დარდები გვივლის, თან ჩვენი გულ-კეთილობისაც გვრცხვენია და სიცილი მოგვდის; ამისთვის რომ რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ჩვენი სამუშაო იარაღების უსარგებლობაზე, მაინც ამითი ტყუილა ენას დავიღალავთ, თორემ ბევრი არა გამოვა. რაც უნდა უჩიჩინო, ამითი ჩვენს სოფლელს თავის რვა უღლიანს გუთანს და წნელების ფარცხს ვერ გამოასცვლევინებ. სულ ტყუილია, რასაც სწერენ და ლაპარაკობენ იმ კარგს იარაღებზედ — გეტყვის ჩვენი მეოჯახე თავის უსწავლელობის გასამართლებლათ. იქნება იქ გამოდგეს, სადაც გაუკეთებიათ, თორემ ჩვენში არ გამოდგებაო. — განა გიცდია, რომ არ გამოდგება? — ჰკითხავ, მაგრამ, მაგიერათ ისიც მოგიგებს, შენ კი გიცდიაო? აბა, წადი მოიტანე ვსცადოთ, თუ მართლა იმ უკეთესმა ფარცხმა და გუთანმა ამ ჩვენს რვა უღლიანსა და წნელის ფარცხს აჯობა, მაშინ ჩვენც ვეცდებით იმის შოვნას, თუ არა და ეგრე სომ არ იქნება. მარტო ილაპარაკო და საქმით კი არ დამანახო იარაღის სიკეთე.

* * *

ამ სახით მომტანი არავინ არის, და ჩვენი სოფლელებიც ეგრე ადვილი დასაჯერებელნი არიან, რომ მართლა ვინმე თავს იდვას ამ ჩვენი რჩევის ასრულებას. ამასთან ესეც უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩვენი ნაწერი ასში იქნება ერთმა წაიკითხოს მარტო და ისიც ნახევარს ვერ გაიგებს და მოდი ამისთანა მდგომარეობაში მკითხველს დაუმდურე, თუ იმან არ შეისმინა შენი ლაპარაკი.

ყველა ამაებს რომ ერთად წარმოვიდგენთ, გულში უნებურათ გვეცინება ჩვენს ამაოთ ლაყბობაზე, მაგრამ დაე ერთხელ თუ მოისმენენ, ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვიქნებით და ჩვენ მაინც ჩვენს ლაპარაკს არ მოვიშლით, სანამდის აქედგან რამე ხეირიანი ნაყოფი არ გამოვა.

* * *

ამ ჟამათ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ერთს სასარგებლო იარაღზე, რომელსაც სახელათ ფარცხი ჰქვია. იმას მალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის დამუშავებაზე. თუ ყანა კარგათ არ დაიფარცხა; მიწა მალიან კარგათ არ დაიფხვნა და რაც რამ ბალახ-ბულახი დარჩენილა ამოუთხრელი თუ ყველა ფარცხის კბილებმა არ ამოიღო, უეჭველათ მოსავალს ბევრი ზარალი მიეცემა ამითი. ახლა ვთქვათ ჩვენი წნელის ფარცხი ასრულებს თუ არა რიგიანათ ამისთანა საქმეს? — სრულებითაც არა. ის ბელტებს კარგათ ვერ ფხვნის და ბალახ-ბულახს თითქმის სრულებითაც ხელს არ ახლებს. ამიტომ რომ კბილები სულ არ აქვს და რომ მრიელაც უნდოდეს, მაინც ვერ მოთხრის. ამისთვის კარგი ფარცხი უფრო საგანმურათ უნდა იყოს გაკეთებული, ვინამც ჩვენი ლასტის (ჩელტის) ფარცხი.

* * *

ევროპული ფარცხია გაკეთებული ოთკუთხი ხას ვიწრო ფიცრებისაგან, რომელნიც ერთი ერთმანეთზე გადაბმულნი არიან, ასე რომ ფიცრებშუა დიდი-თვალები დარჩენილი. ქვეშ ამ ფიცრებს რკინის გძელი სოლები აქვს კბილებსავით დაკანებული. რკინის სოლები წვეტიანნი და ოთხ-კუთხიანები არიან. ისინი ღრმათ ჩაეფლობიან მიწაში და ფარცხვის დროს ბელტებსაც მშვენიერათ ფხვნიან და არც ბალახ-ბულახის ძირებს გაუშვებენ მოუთხრელს.

*
* *

ფარცხები ბევრ-ნაირია, მაგრამ არც ერთი იმათგანი კი სრულიად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. აი, რა უნდა მოითხოვოს კაცმა ფარცხიდგან: ყველაზე უფრო საჭიროა, რომ ფარცხის ყოველი კბილი ცალკე კვალს ავლებდეს; შემდეგ ყოველ კბილის გავლებული კვალი თანასწორათ უნდა იყონ დაშორებულნი ერთმანეთზე. ფარცხვის დროს ფარცხი სწორათ უნდა დადიოდეს და არ ირყეოდეს. ყოველი წვრილი ბელტი და ყოველი ბალახის ფესვი ფარცხის კბილებს არ უნდა მოურჩეს მოუთხრელი. ყოველი კბილი უნდა დადიოდეს მიწაში იმდენზე, რამდენზედაც გუთანი ხნავდა. კბილები ისე ვიწროთ უნდა ავლებდენ კვლებს, რომ ბელტი არ მორჩეს დაუფხვნელი. თვითონ ფარცხის ტანი უნდა იყოს მსუბუქი. ფარცხის კბილები უნდა იყონ ოთხკუთხი. ყოველი კბილის ამოღება თავისუფლათ უნდა შეიძლებოდეს ხოლმე. ტარების დროს მთელი ფარცხი სწორათ უნდა იყოს მიწის პირზე დაშვებული და ისეთი ადვილი გასაკეთები უნდა იყოს, რომ ძვირათ არ ღირდეს და ძნელიც არ იყოს იმის გაკეთება.

*
* *

ამ შემთხვევაში ყველა ფარცხებს სჯობია ჟანოს ფარცხი. მთელი ფარცხი სამი პატარა ფარცხებისგან არიან შემდგარნი, რომელნიც ერთმანეთს მოეჭიდებიან და შეიძლება ცალკე დაიშალნონ. ჟანო ამბობს, რომ მე მაქვს ჩემივე ნაკეთები ფარცხები, რომელთაც ეს ორი წელია რაც ვხმარობ, მაგრამ აქამდის არა წახდენიათ რა, თუმცა წარსულს წელს, როცა საშინელი გოლვიანი ამინდი იყო, მაშინ ვფარცხავდი ხნულებს და ვფხვნიდი ქვასავით მაგარს ბელტებს, მაგრამ მაინც არა გაჭირებიარაო.

*
* *

ჩემ გაკეთებულს ფარცხებში ყველაზე უფრო დიდი სამი პატარა ფარცხისგან არისო შემდგარი და სიგანე ერთი საჟენი მეტი აქვსო. უნდება ორი უღელი ხარი და სულ ღირს სამთუმან ნახევარათაო, ევროპული ნაკეთები ამავე გვარი ფარცხები თითო უკანასკნელი ხუთ თუმნათ ღირს.

*
* *

საზოგადოთ ჟანოს ფარცხები აი რითი არიან უფრო მოსაწონნი: 1 ძალიან იაფი არიან; 2 ყოველ კბილს რომ გინდოდეს ისე ამოიღებ, რომ ხე ან ფიცარი არ წახდება; 3 ერთსა და იმავე ფარცხში შეიძლება სულ მთელი კბილები დააძრო და სხვა გვარი კბილები დაასხა. შეიძლება ისეთი კბილებიც დაასხა ამ ფარცხებს, რომ თავიც და ბოლოც მწვეტიანები ჰქონდეს, შემოდგომაზე ღრმათ და კარგა დასაფარცხავათ ვარგოდეს, გაზაფხულზე კი მსუბუქათ ფხვნიდეს მიწას.

## სხვა და სხვა ამბავი

ერთს რუსულს გაზეთში საშინელი ამბავია დაწერილი რიბინსკის ქალაქიდგან, რომელიც იმყოფება დიდი რუსეთის მდინარეს ვოლგასთან, ასტრახნის ჩდილოეთით. ერთი ვინდაც ჩერქეზი გამოგზავნესო ნოვგოროდიდგან რიბინსკის სატუსაღოში. არ იცის კაცმა, როგორ მოატყუა ყარაულები და ჩუმათ შეიპარა იმ ოთახში, სადაც ერთი დედაკაცი სახელად მარია ტეტერიხა იყო დატუსაღებული. ჩერქეზმა რასაკვირველია დაუწყო აშიყობა ამ ქალს, მაგრამ ქალი ძალიან უარზე იდგა. რომ ვეღარა გააწყორა, ჩერქეზმა განიზრახა ამ ქალზე თავის გულის ჯავრის ამოყრა. იმან მოიტაცა თურმე სამზარეულოდგან დანა და შევარდა საპყრობილეს საქალებო ოთახში, სადაც სამი ქალი იყო; ორი იმათგანი გაიქცა და მესამე უბედური მარიამ ტეტერიხა ხელში ჩაუვარდა ამ გაცოფებულს კაცს. ერთიწამს რამდენჯერმე დასცა დანა გულზე და მუცელზე, ისეთი გამწარებით, რომ სულ გამოფატრა. ამ საქმეზე ძიება არის შემდგარი და როგორც ამბობენ ტუსაღი სისხლის სამართლით უნდა დაისაჯოსო.

*
* *

## უცხო ქვეყნის ამბები

— «ვარშავის უწყებებში» სწერენ, რომ ამას წინათ ორმა გიმნაზიის მოწაფემ ნახეს სამოცი თუმანიო და მაშინვე წარუდგინესო თავის უფროსს მასწავლებელს. როდესაც ცოტახანს შემდეგ გამოჩნდა ამ ფულების პატრონი და იმან კანონისამებრ მესამედი ამლის მნახველებს, გიმნაზიის მოწაფეებმა არ აიღეს და ხვედრი ფული გადასდვეს თავის ამხანაგებისათვის, სასწავლო ფულის გადასახდელათ გიმნაზიაში, რადგან იმათ სიღარიბისგან ფულის შეტანის ღონე არ ჰქონდათ.

*
* *

— «რუსულს უწყებებში სწერია შესანიშნავი ამბავი: ერთმა რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომმა სომეხმა უჩივლა სულთანის მთავრობას რუსის ელჩთან, რომ აღმოსავლეთის ომიანობის დროს იჯარით ვიყავ გარიგებული, რომ ყარსის ციხისთვის საზდო ხორაგი მეძლია. და იმის ფულს აღარ მაძლევსო» — ფულის ამოგება კიარა დასახრჩობი ყოფილხარო, — ჩვენს მტერს როგორ ეწეოდი ხოგი რაგითაო — უთხრა რუსეთის ელჩმა. — შენ არ მომიკვდე, თქვენ ყარსს ისე მალე ვერ აიღებდით, მე რომ წამხდარი მოწამლული ხორაკი მეძლია თათრის ჯარისთვისო» — უთხრა მოხერხებულმა სომეხმა და თავი გადაარჩინა განსაცდელისგან.

*
* *

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Ноября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.